

გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროგრამა

ხშირად დასმული კითხვები

1. ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობა?

პასუხი: კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პროექტის ძირითად პერსონალს (მკვლევართა ჯგუფს), რომელსაც გააჩნია მასპინძელი ორგანიზაციის მხარდაჭერა კვლევისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე წვდომისათვის

2. ვინ ითვლება ახალგაზრდა მკვლევარად?

პასუხი: კონკურსის პირობების თანახმად, ახალგაზრდა მკვლევარად ითვლება მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები ძირითადი პერსონალიდან, რომელთა აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი, ასევე მაგისტრატურის ან/და დოქტორანტურის სტუდენტები.

3. სავალდებულოა თუ არა ახალგაზრდა მკვლევართა ჩართვა პროექტში?

პასუხი: სავალდებულოა. პროექტის ძირითადი პერსონალის მინიმუმ 50%-ს უნდა შეადგენდნენ ახალგაზრდა მკვლევრები

4. ვინ შეიძლება იყოს პროექტის ძირითადი პერსონალი?

პასუხი: ძირითადი პერსონალის სახით კონკურსში მონაწილეობა და გრანტის მიღება შეუძლიათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ კვლევით და კერძო სექტორს და ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს მაგისტრის, დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ასევე მაგისტრატურის ან/და დოქტორანტურის სტუდენტი;

5. შესაძლებელია თუ არა კონკურსში მონაწილეობა მიიღოს სტატუს შეჩერებულმა მაგისტრანტმა ან დოქტორანტმა?

პასუხი: შესაძლებელია

6. აუცილებელია თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის დარეგისტრირება GMUS-ში?

პასუხი: აუცილებელია, პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალი დარეგისტრირებული იყოს GMUS-ში

7. აუცილებელია თუ არა კერძო სექტორის წარმომადგენლების რეგისტრირება GMUS-ში?

პასუხი: დიახ, აუცილებელია, რომ პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალი დარეგისტრირებული იყოს GMUS-ში?

8. შესაძლებელია თუ არა პროექტის ძირითადი პერსონალი ჩართული იყოს ფონდის სხვა კონკურსებში?

პასუხი: შესაძლებელია. შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ კონკურსზე წარმოდგენილი პროექტი ან პროექტით გათვალისწინებული აქტივობა არ შეიძლება იყოს უკვე განხორციელებული პროექტის ხელმძღვანელისა და/ან კვლევითი ჯგუფის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით

9. შესაძლებელია თუ არა ერთი და იგივე პირი ჩართული იყოს კონკურსის ფარგლებში დარეგისტრირებულ რამდენიმე პროექტში?

პასუხი: შესაძლებელია

10. რა დოკუმენტის წარმოდგენაა საჭირო იმ შემთხვევაში, თუ არ არის უცხო ქვეყნის მოქალაქის ხელმოწერა განცხადებაზე?

პასუხი: განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა ერთვოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილის ორიგინალი ხელმოწერით დადასტურებული და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ პირი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურში მონაწილეობაზე

11. ვინ შეიძლება იყოს პროექტის ხელმძღვანელი?

პასუხი: პროექტის ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი პროექტის ძირითადი პერსონალიდან, მკვლევართა ჯგუფის ლიდერი, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე

12. სავალდებულოა თუ არა კერძო სექტორის წარმომადგენლის ჩართვა პროექტში?

პასუხი: სავალდებულოა. კონკურსის პირობების თანახმად, პროექტში ჩართულნი უნდა იყვნენ კვლევის შესაბამისი კერძო სექტორ(ებ)ის წარმომადგენლები, რომლებიც უნდა შეადგენდნენ ძირითადი პერსონალის არაუმეტეს 25 %- ს

13. როგორ უნდა დაამტკიცოს უცხო ქვეყნის მოქალაქე პირმა რომ არის კერძო სექტორის წარმომადგენელი?

პასუხი: უცხო ქვეყნის მოქალაქე პირმა საკმარისია წარმოადგინოს მისი სამუშაო ინსტიტუციის ოფიციალური ვებ- გვერდის ბმული, საიდანაც დასტურდება მისი დასაქმება

14. ყავს თუ არა კონკურსს თანამონაწილე ორგანიზაცია?

პასუხი: არა. კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ მასპინძელი ორგანიზაციის ყოლა.

15. შეიძლება თუ არა მასპინძელი ორგანიზაცია იყოს აი(ი)პ-ის სტატუსის მქონე იურიდიული პირი?

პასუხი: შესაძლებელია, თუ ორგანიზაციის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება.

16. რა შეიძლება იყოს ახალგაზრდა მკვლევარის მაქსიმალური საგრანტო დაფინანსება?

პასუხი: ახალგაზრდა მკვლევარის საგრანტო დაფინანსების რაოდენობასთან დაკავშირებით შეზღუდვა არ არსებობს. შეზღუდვა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 40%-ს.

17. არის თუ არა ზედა ზღვარი ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსების თანხაზე?

პასუხი: პროექტში ჩართული ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 40%-ს.

18. შემიძლია თუ არა კვარტლების მიხედვით თანხები არათანაბრად გავანაწილო?

პასუხი: დიახ, შეგიძლიათ.

19. იბეგრება თუ არა დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება?

პასუხი: დიახ, დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ექვემდებარება დაბეგვრას.

20. სავალდებულოა თუ არა GMUS-ის ბაზაში დამხმარე პერსონალის სახელი და გვარის მითითება?

პასუხი: არა, არა არის სავალდებულო. GMUS-ის ბაზაში ივსება მათი პოზიცია.